ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ბესიკის ქ. №4




თბილისი
2022 თებერვალი

განსახილველი ობიექტი, ბესიკის ქ. №4, ისტორიულ უბანში მდებარე თანამედროვე მოცულობაა, რომელიც თავისი მსხვილი მასშტაბით მნიშვნელოვნად არღვევს ირგვლივ არსებული ისტორიული განაშენიანების მასშტაბს, რაც ბოლო პერიოდამდე ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ურბანული პოლიტიკის შედეგია.



მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ ობიექტს არ გააჩნია ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულება, მასზე განხორციელებული ცვლილებები მაინც ითხოვს კვლევასა და რეკომენდაციებს, რადგანაც ის ისტორიული თბილისის ცენტრალური ნაწილის, მათაწმინდის უბნის ფარგლებში მდებარეობს. ეს ადგილი რუსთაველის (გოლოვინსკის) გამზირზე გამავალი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ანსამბლის მიმდებარე კვარტალს განეკუთვნება და შემაღლებული ბორცვის კალთაზე გაშენებული რეგულარულ ქუჩებს შორის არის მოქცეული.



XIXს-ის II ნახევარში, როდესაც რუსთაველის გამზირი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ქალაქის ადმინისტრაციული, ფინანსური და კულტურული ცენტრი მასზე აშენებულ ქარვასლებს (ერევანსკის მოედანზე, ყოფ. სასახლის ქუჩაზე), დაემატა ბევრი ახალი მდიდრული მაღაზია, თეატრები და კინო-თეატრები. გამზირისა და მიმდებარე უბნების ძველი, ტიპიური თბილისური ორსართულიანი განაშენიანება 50-60-იანი წლებისთვის შეიცვალა უფრო დიდი, 3-4 სართულიანი „ევროპული“ შემოსავლიანი სახლებით, რომლებსაც აშენებდნენ გამდიდრებული თბილისელი კომერსანტები და მეწარმეები: ზუბალაშვილები, სარაჯიშვილები, მელიქ კაზარიანცი და სხვ.

ბესიკის ქუჩის განაშენიანება მნიშვნელოვან ურბანულ მონაკვეთში მდებარეობს. ირგვლივ არსებული ნაგებობებიდან აღსანიშნავია მსხვილი ისტორიული ძეგლები – №1 საჯარო სკოლის შენობა (რუსთაველის გამზ., №10) და უზენაესი სასამართლოს შენობა ძმ. ზუბალაშვილების №32, რომელიც XX ს-ის დასაწყისში არქ. შიმკევიჩის მიერ არის დაპროექტებული.



საკვლევი ტერიტორიის მეზობლად არსებული განაშენიანება ჯერ კიდევ ძველი თბილისის ორსართულიანი აივნიანი სახლებით არის გაჯერებული, რომლებსაც ნაწილობრივ მაინც შერჩენილი აქვთ XIX ს-ის I ნახევრისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტები – ხის შეკიდული აივნები და შუშაბანდები.





მეტი წილი განაშენიანებისა, სოლოლაკისა და მთაწმინდისთვის დამახასიათებელი მსხვილმასშტაბიანი „ამპირული“ სახლებისაგან შედგება. სახლებს დამახასიათებელი ნალესი ელემენტებით გაფორმებული ფასადები აქვთ, ხოლო ეზოების მხრიდან კვლავ თბილისური შუშაბანდებითა და ხის აივნებით გარშემორტყმული ეზოები.



მიუხედავად იმისა, რომ უბანს მეტწილად შერჩენილი აქვს ისტორიული ღირებულება, სწორედ მთაწმინდის განაშენიანების ამ მონაკვეთზე განხორციელდა განსაკუთრებით აგრესიული ურბანული ჩარევები XX ს-ის მიწურულსა და XXI ს-ის დასაწყისში. უბნის აუთენტურ ქსოვილში სრულიად გაუმართლებლად შეიჭრა მსხვილმასშტაბიანი, შეუსაბამო მოცულობები, რომლებმაც მკვეთრად დაარღვიეს ისტორიული განაშენიანების ჩამოყალიბებული მორფოლოგია.







განსაკუთრებით მძიმედ გამოიყურება ურბანული მონაკვეთი საკვლევი ობიექტის მიმდებარედ. ტ. შევჩენკოს ქუჩის №12 და №20 უსახური ერთგვაროვანი ცემენტით გალესილ ფასადებიანი ხუთ-ექვსსართულიანი შენობები სრულიად შეუსაბამოა მათ გვერდით არსებულ ისტორიულ განაშენიანებასთან.



ძეგლების ვიზუალური დაცვის არეალი მკვეთრად არის შელახული მსხვილმასშტაბიანი კორპუსული ტიპის ნაგებობებით, რომლებმაც სრულიად დაფარეს ხედი მთაწმინდაზე და დათრგუნეს ისტორიული განაშენიანების მასშტაბი.





ბესიკის ქ. №4 მსხვილი, შვიდსართულიანი მოცულობაა, რომელიც საკმაოდ მძიმედ ადიქმება ისტორიული ქუჩის აღმართზე, თუმცა, მისი ფასადი მეტ-ნაკლებად ხარისხიანი მასალებით არის მოპირკეთებული (ეკლარის ქვა, რუსტირებული ბაზალტი), რაც რამდენადმე უფრო საინტერესოს ხდის ობიექტის ფასადს, ვიდრე აღნიშნული კორპუსების შემთხვევაშია.





კორპუსის სახურავზე განთავსებულია საკომუნიკაციო ქსელების ანძები, რომლებიც თავისი ვიზუალით სუფთა ტექნიკური დანიშნულებისაა და სამწუხაროდ, არ გააჩნია მხატვრული ესთეტიკა, რის გამოც, მიუხედავად მათი არსებობის აუცილებლობისა, ნებისმიერ ადგილას (განსაკუთრებით ისტორიული არქიტექტურის აღქმის არეალში) უხეშად გამოიყურება.





დასკვნა-რეკომენდაცია

საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ქალაქის ისტორიულ ცენტრში საკომუნიკაციო დანადგარების განთავსება აუცილებელია. თუმცა, ხშირად მათი ვიზუალი – გაშიშვლებული ტექნიკური ფორმა, – არ შეესაბამება ისტორიული უბნის და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღქმის არეალს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბესიკის ქ. №4-ზე, მრავალსართულიან კორპუსზე, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ირგვლივ არსებული ისტორიული განაშენიანების სიმაღლეს, ანძის არსებობა ვერ გადაფარავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ვიზუალურ აღქმას, რომელიც ისედაც გადაფარულია ზემოაღნიშნული მოცულობით.

შესაბამისად, ამ ტექნიკური დანადგარის განთავსება შეუსაბამო კორპუსის სხვენზე არ ცვლის არსებულ ვითარებას და დღევანდელი მდგომარეობით მისაღებად მიმაჩნია.

ამასთან, სასურველია კომპანიამ მომავალში გაითვალისწინოს ისტორიულ უბნებში მსგავსი დანადგარების დაგეგმვისას მათი განსხვავებული დიზაინით შეფუთვა, რომელიც მისადაგებული იქნება ფერით და ფორმით გარემომცველ განაშენიანებასთან.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი